პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1980 წელი
პარასკევი
11 აპრილი
№ 85 (17728)
ფასი 2 კაპ.

მაღალი პასუხისმგებლობა ტექნიკური პროგრესი დროის მოთხოვნაა

საქართველოს ენერგეტიკისა და ჰიდროტექნიკურ ნაგებობათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის კოლექტივი 1979 წლის გეგმის ყველა მაჩვენებლის წარმატებით შესრულებისათვის სსრ კავშირის ენერგეტიკის და ელექტროფიკაციის სამინისტროს და პროფკავშირთა ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშით დაჯილდოვდა.

ინსტიტუტის დირექტორმა, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა გ. ჩოგოვაძემ გვაცნო ინსტიტუტის ის უმნიშვნელოვანესი სამუშაოები, რომლებმაც სოციალისტებისა და ინტერნართა საზოგადოების მაღალი შეფასება დაიმსახურეს.

სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგში მთელი რიგ სამეცნიერო-კვლევით ნამუშევართა დანერგვით მიღწეულმა ეკონომიკურმა ეფექტიანობამ, — გვითხრა მან, — 9 მილიონამდე მანეთი შეადგინა. ამასთან, აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ შესრულებულ ნამუშევართა შორის არის ისეთებიც, რომელთა ეკონომიკური ეფექტიანობის ფულადი გამოხატვა ძნელია. ზოგიერთი ნამუშევრის შედეგები საყოველდაო დიდი ნორმატიულ დოკუმენტებსა და რეკომენდაციებს.

ინსტიტუტის მეცნიერებმა მრავალი წლის ექსპერიმენტულ-თეორიული კვლევის შედეგად დამუშავეს ჰიდროტექნიკურ ნაგებობათა ბეტონის და რკინაბეტონის კონსტრუქციებში გარკვეული ზომის ბზარების დაშვების შესაძლებლობა და ამით გაამარტივეს ჰიდროტექნიკურ ნაგებობათა არსებობა და მუშაობა.

ინსტიტუტში შემუშავებული ნორმების მიხედვით მსოფლიო პრაქტიკაში პირველად ჩვენს ქვეყანაში გახდა შესაძლებელი, რომ შეიქმნას ურთულესი ჰიდროელექტროსადგურები ბზარებიანი ბეტონის და რკინაბეტონის კონსტრუქციებისაგან, რომლებიც ნაგებობათა უსაფრთხოების თვალსაზრისით დასაშვებია. ამით ათასობით კუბური მეტრი ბეტონი და ასობით ტონა ფოლადი დაიზოგა, მკვეთრად შემცირდა მშენებლობის ვადები, 32 მილიონი მანეთი დაიზოგა იმ 20 ჰიდროელექტროსადგურის აგებაზე, რომელთა კონსტრუქციებში დაშვებულია ბზარები, გარდა ამისა, აღნიშნავს პროფესორი გ. ჩოგოვაძე, საბჭოთა კავშირში უკვე აშენდა რამდენიმე სადაწნეო გვირაბი ბზარების დაშვებით.

ინსტიტუტში დამუშავებული სადაწნეო გვირაბის ეგრეთ წოდებული გაძლიერებული რკინაბეტონის მოპირკეთების ორიგინალური კონსტრუქცია წარმატებით გამოიყენეს ენგურის, შამბის და სხვა ჰესებში. ამ კვლევის შედეგების დანერგვის ეკონომიკურმა ეფექტიანობამ 1979 წელს 5 მილიონი მანეთი შეადგინა.

ქართველმა სპეციალისტებმა — ჰიდროენერგეტიკოსებმა შექმნეს სადაწნეო წყალსატარისა და ატმოსფერული ონკანების ... ეფექტიანი რკინაბეტონის კონსტრუქციები. ... საქმეთა სახელმწიფო კომიტეტში დაადასტურეს აღნიშნული კონსტრუქციების სიახლე და მათი მაღალი ეფექტიანობა.

ინსტიტუტის პოლიმერული მასალების ლაბორატორიაში დამუშავდა პოლიმერული დამცავი ფენილი. უკრაინის სსრ კრივოი როგის სამთო-მამდიდრებელ კომბინატში, ზაკორსკის საცდელი ქარხნის სამეცნიერო საწარმოო გაერთიანების „პლასტიკის“ და ქარხანა „თბილელექტროზოლიტის“ მონაწილეობით მოეწყო ამ დამცავი ფენილის საწარმოო გამოცდა. ახალი მასალის წარმატებით გამოცდის საფუძველზე სსრ კავშირის შავი მეტალურგიის სამინისტრომ რეკომენდაცია გაუწია ქვეყნის ოერთმეტ სამთო-მამდიდრებელ კომბინატს, მათ შორის „ჩითუურმანგანუმს“, რათა შეუდგნენ აღნიშნული გამოგონების დანერგვას.

ინსტიტუტში დამუშავდა თბოელექტროსადგურების საკვამლე მილების 300 მეტრი სიმაღლის ანაკრეფი, წინასწარ დაძაბული კონსტრუქცია, რომელიც წარმატებით შეიძლება გამოიყენონ ავრეთვე რადიო და ტელევიზიის ანძებისათვის. საკვამლე მილის ეს ახალი კონსტრუქცია გათვალისწინებულია ქალინინის № 3 თბოელექტროსადგურის ტექნიკურ პროექტში, რომლის მშენებლობა მიმდინარე წელს დაიწყება. მსოფლიოს რამდენიმე ქვეყანამ ამ გამოგონებაზე გასცა პატენტი და ამჟამად წარმოებს მოლაპარაკება ლიცენზიების გაყიდვის თაობაზე. ინსტიტუტის ენერგეტიკოსებმა ბევრი რამ გააკეთეს ციმბირისა და შორეული აღმოსავლეთის რაიონებში საიმედო ენერგეტიკული ბაზის შესაქმნელად. საიანსკ-შუშენსკოეს, კრასნოიარსკის, ტოქტოგულის და სხვა ჰიდროელექტროსადგურებისათვის ინსტიტუტში შეიქმნა დაძაბვის პროდუქტებისაგან გენერატორების გრაგნილების გამწმენდი სპეციალური მოწყობილობა. ეს ღონისძიება გამორიცხავს დიდი სიმძლავრის ჰიდროგენერატორების გრაგნილების დაცობის საშიშროებას და ამასთან უზრუნველყოფს მათს ხანგრძლივ და საიმედო მუშაობას.

დიდი ერთიული სიმძლავრის უნიკალური ელექტრომანქანების ეფექტიანმა ექსპლოატაციამ, რომელთა დანიშნულებაა მსხვილი საწარმოების, კოლეიფრნეობების, საბჭოთა მეურნეობების, სათბური მეურნეობების, საცხოვრებელი და კულტურული ობიექტების ელექტროენერგიით უზრუნველყოფა, დაადასტურა ქართველი სპეციალისტების — ენერგეტიკოსების მიერ დამუშავებული აღნიშნული მანქანების გაანგარიშებათა მეთოდების სიზუსტე.

მაღალი ჯილდო ბევრს გვაქვს ლებს.

მ. ვახტანგოვა.

ტრაქტორები — ვენახში, მინდვრად, კლანტაციებში

გაზაფხული

რესპუბლიკის მშრომელთა ცხოვრებაში დიდ მოვლენად აღინიშნა გაზაფხულის დადგომა — სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში მიღწეული მაღალი შედეგებისა და ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1979 წლის გეგმის წარმატებით შესრულებისათვის საქართველო ზედიზედ მეშვიდედ დაჯილდოდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოს და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშით, რასაც მოჰყვა ახალი შრომითი აღმავლობა, მშრომელთა მზადყოფნა იმუშაონ კიდევ უფრო უკეთ და კიდევ უფრო მეტი წვლილი შეიტანონ სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებაში.

დიდი წარმატების მიღწევაში ლარსეული წვლილი შეიტანეს სოფლის მშრომელებმა, რომლებმაც ამხანაგ ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის გულთბილი მისალმება დაიმსახურეს.

გაწეული მუშაობის მაღალი შეფასება კიდევ უფრო დიდ პასუხისმგებლობას აკისრებს სოფლის მშრომელებს, ხოლო დამდგარი გაზაფხული — უმატებს საზრუნავს. გაზაფხული ხომ გლეხკაცისათვის ყველაზე პასუხსაგები დროა, სწორედ ამ დროს იქმნება მომავალი ჭირნახულის საფუძველი.

ზამთარმა რესპუბლიკაში ურიგოდ როდი ჩაიარა, ძირითადად კარგად აღმოცენდა მარცვლეული კულტურები. მრავალწლოვანი კულტურები, ციტრუსოვანთა ზოგიერთი ნაკვეთის გარდა, სუსხს არ დაუზიანებია. მიტ წილ მეურნეობათა ფერმების მუშაკებმა შეინარჩუნეს პირუტყვისა და ფრინველის სულადობა, არ დაუშვეს მათი პროდუქტიულობის შემცირება. ზარშანდელზე უკეთ მომზადეს ტექნიკა მინდვრის საგაზაფხულო სამუშაოებისათვის მექანიზატორებმა. თითქმის ყველა მეურნეობა უზრუნველყოფილია კონდიციური თესლით. ინტენსიურად მიმდინარეობს საგაზაფხულო თესვა, ბაღ-ვენახების მწკრივთშორისების დამუშავება, სასათბურე მეურნეობის მომზადება.

ამავე დროს გასულმა ზამთარმა სოფლის მეურნეობის მუშაკებს დამატებითი სირთულეები შეუქმნა. იანვრის შუა რიცხვებში ყინვებმა დაზიანა ლიმონისა და ფორთოხლის ნარგავები. ზარშანდელი გვალვიანი ზაფხულისა და შემოდგომის შედეგად აღმოსავლეთ საქართველოს წყალსატევებში (განსაკუთრებით მდინარე ივრის აუზში) წარმოიშვა სარწყავი წყლის დიდი დეფიციტი. მეოთხე კვარტალში ქიმიურმა მრეწველობამ ვერ უზრუნველყო სოფლის მეურნეობისათვის დაგეგმილი რაოდენობის სასუქების მთლიანად მიწოდება.

ყოველივე ეს მოწმობს, რომ მიმდინარე წლის დაძაბული პროგრამა სოფლის მეურნეობაში დაკავშირებულია გარკვეულ სიძნელეებთან, რომელთა დაძლევა მოითხოვს საგანგებო ღონისძიებათა შემუშავებასა და პრაქტიკულ განხორციელებას.

ერთ-ერთი რთული, დაძაბული და პასუხსაგები უბანი კვლავინდებურად არის მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების გადიდება. საჭიროა კიდევ უფრო მკვეთრად გავზარდოთ ხორცისა და რძის წარმოება საკუთარი რესურსების, გამოუყენებელი რეზერვების ამოქმედების გზით.

საკვები რესურსები ზარშანდელთან შედარებით თუმცა მეტია, მაგრამ მაინც საკმაოდ შეზღუდულია. ამიტომ არ უნდა დავუშვათ პირუტყვის სულადობისა და მისი პროდუქტიულობის შემცირება, რადგან ეს საფრთხეს შეუქმნის 1980 წლისა და მთლიანად ხუთწლედის დავალებათა შესრულებას. წელს სოფლის მშრომელებმა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები წინანდელზე გაცილებით ადრე, შემჭიდროებულ ვადებში და მაღალხარისხოვნად უნდა ჩაატარონ, მოაწყონ საყოველთაო-სახალხო ლაშქრობა მეცხოველეობის საკვები ბაზის განმტკიცებისათვის.

ხუთწლედის დამამთავრებელი წელი უნდა იყოს ჩვენი სოფლის მეურნეობისათვის უმეტესი სიუხვის წელი — ამაზეა დამოკიდებული ხუთწლიანი გეგმის წარმატებით შესრულება არა მარტო სოფლის მეურნეობაში, არამედ მთლიანად რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაშიც.

უნდა შევიმუშაოთ ჩაის, ყურძნის, ხილის, ციტრუსების, ეთერზეთოვანი კულტურების, ბაჭრის ჩარხლისა და სხვა პროდუქტების წარმოებისა და შესყიდვის სოციალისტურ ვალდებულებათა მთლიანად და გადაჭარბებით შესრულების კონკრეტული პროგრამა. უამისოდ საქართველოს მრეწველობა ვერ შეასრულებს ხუთწლიან გეგმას.

ნაკისრ ვალდებულებათა რეალიზაციისათვის ბრძოლა ყველგან უნდა გაჩაღდეს — თითოეულ ბრიგადაში, თითოეულ რგოლში, თითოეულ ოჯახში. უნდა შიდგეს მიწის თითოეული ნაკვეთის პასპორტი. დროულად უნდა შევიტანოთ სასუქები, მეტად ვიზრუნოთ ორგანული სასუქების არსებული რესურსების სრული გამოყენებისათვის, ბოლო მოვუღოთ მათ დანაკარგებს. განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს აგროტექნიკური მოთხოვნების სრული შესაბამისობით რწყვას. არ უნდა დაგვაგვიწყდეს მცირე მელიორაციის საკეთო. მთლიანად უნდა მოვაწესრიგოთ სარწყავი სისტემები, აგრეგატები, დანადგარები.

დიდი მნიშვნელობა ენიჭება ერთწლოვანი და მრავალწლოვანი კულტურების მკურნალობის სწორ ორგანიზაციას, უწინარეს ყოვლისა ეს ეხება მევენახეებს, მეხილეებს, მებოსტნეებსა და მეციტრუსეებს.

ახლა განსაკუთრებით საჭიროა მაღალი ორგანიზებულობა, უმკაცრესი შრომის დისციპლინა, ცალკეული უბნების ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობის ამაღლება, ფინანსური და შრომითი რესურსების მომჭირნეობით ხარჯვა და საუკეთესო გამოყენება.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ე. ა. შევარდნაძემ და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ზ. ა. პატარიძემ წერილით მიმართეს სამეურნეობათაშორისო ორგანიზაციების ხელმძღვანელებს, კოლმეურნეობების თავმჯდომარეებს, საბჭოთა მეურნეობების დირექტორებს, პარტიულ ორგანიზაციათა მდივნებს, რომელშიც მათს განსაკუთრებულ ყურადღებას მიაპყრობენ წლევანდელ გაზაფხულზე სოფლის მშრომელთა ამოცანებს.

წერილში გამოთქმულია ღრმა რწმენა, რომ სოფლის მშრომელები, პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული ორგანიზაციები, შრომითი კოლექტივის თითოეული წევრი მეოთე ხუთწლედის დამამთავრებელ წელს, ვ. ი. ლენინის დაბადების 110-ე წლისთავისა და სკკპ XXVI ყრილობისათვის აქტიური მზადების წელს, არ დაიშურებენ ძალ-ღონესა და ენერგიას, რაცა წარმატებით შეასრულონ რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის წინაშე დასახული ამოცანები, და ახალი შრომითი გამარჯვებებით გაუთქვამენ სახელს მშობლიური რესპუბლიკას. (საქინფორმი).

„სოიუზ-35“: ფრენა გრძელდება

ფრენის მართვის ცენტრი, 10 აპრილი. (საკდესი). „სოიუზ-35“ ხომალდის ფრენის პროგრამის შესაბამისად კოსმონავტები ლეონიდ პოპოვი და ვალერი რიუმინი განაგრძობენ მზადებას „სალუტ-6“-„პროგრეს-8“ ორბიტულ კომპლექსთან შეჰიპაპრებისათვის.

„სოიუზ-35“ ხომალდის საბორტო სისტემები ნორმალურად მუშაობს. კოსმონავტები თავს კარგად გრძნობენ.

დღეს, 11 აპრილს, 14 საათზე გაიმართება ვ. ი. ლენინის დაბადების 110-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის პლენუმი.

პლენუმი იმუშავებს საქართველოს მწერალთა კავშირის შენობაში (რუსთაველის პრ. № 7).



ყოველი დღე, საათი — მხოლოდ დამკვრელური!

სურათებზე: ზვრების მექანიკური დამუშავება ხვანჭკარის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობაში; ზემოთ — მონინავე მექანიზატორი რ. დვალი, რომელმაც თავი გამოიჩინა.

ფოტო ავტორისა.

გაზაფხულის თბილმა დღეებმა ტრაქტორები რაჭაშიც ააგუგუნა. გაღვიძებულ მინდორ-ველებსა და ზვრებში საგაზაფხულო სამუშაოები გაჩაღდა. დაძაბული დღეებია ამბროლაურის რაიონის სოფელ ხვანჭკარის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობაში.

ხვანჭკარელებმა დროულად დაამთავრეს ვენახის სხვლა და ახლა ნიადაგს ამუშავებენ.

— ჩვენი მიკრორაიონი განთქმულია მსოფლიოში „ხვანჭკარის“ სამარკო ღვინით, რომლის ძირითად მასალას ჩვენი მეურნეობა ამზადებს, — ამბობს მეურნეობის დირექტორი ავთანდილ კობახიძე, — წელს ჩვენი ვენახების 167 ჰექტარს კიდევ 12 ჰექტარი ახლად გაშენებული ვენახი შეემატება. ეს ფართობები მთლიანად მექანიზებულად დამუშავდება. ხვანჭკარელმა მევენახეებმა ვალდებულება იკისრეს წლეულს ჩააბარონ 400 ტონა მაღალხარისხოვანი ალექსანდროული, ეს გეგმას 50 ტონით აღემატება.

ს. კილაძე.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში გაიმართა გაფართოებული თათბირი, რომელზეც განიხილეს საქართველოს ჩარხსაშენებელი მრეწველობის სანარმოთა მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების, წარმოებისადმი პარტიული ხელმძღვანელობის გაძლიერების ღონისძიებანი იმ მოთხოვნების შესაბამისად, რომლებიც გამოითქვა სკკპ ცენტრალურ კომიტეტში მიმდინარე წლის მარტში გამართულ ჩარხსაშენებელი და საინსტრუმენტო მრეწველობის მუშაკთა თათბირზე, აგრეთვე იმსჯელეს ამოცანებზე, რომლებიც გამომდინარეობს სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებიდან „ლითონდამუშავებელი, სამსხმელო და ხის დასამუშავებელი მოწყობილობისა და ინსტრუმენტის ტექნიკური დონის და კონკურენტუნარიანობის მნიშვნელოვანი ამაღლების შესახებ“.

თათბირის მუშაობაში მონაწილეობდნენ რესპუბლიკის პასუხისმგებელი პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული მუშაკები, მთელი რიგი სამინისტროების, უწყებების ხელმძღვანელები, მეცნიერები, დიდი სანარმოების, საპროექტო, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების, სპეციალური საკონსტრუქტორო ბიუროების, სამშენებლო, სამონტაჟო ორგანიზაციების დირექტორები, მთავარი ინჟინრები, პარტიული ორგანიზაციათა მდივნები, ნამყვანი სპეციალისტები, პრესის, რადიოს, ტელევიზიის წარმომადგენლები.

მოხსენება გააკეთა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ნ. ა. ჩხეიძემ.

განსახილველ საკითხზე გაწეული მუშაობის შესახებ სიტყვა წარმოთქვეს და ინფორმაცია გააკეთეს რესპუბლიკის სახმშენის თავმჯდომარემ გ. ზ. მირიანაშვილმა, საქართველოს სსრ მშენებლობის მინისტრმა ნ. ა. მეძმარიაშვილმა, ჩარხმშენებლობის საპროექტო-ტექნოლოგიური სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მთავარმა ინჟინერმა გ. გ. დათუაშიძემ, სანარმოო გაერთიანება „ჩარხმშენებლის“ მთავარმა ინჟინერმა თ. ა. ქათამაძემ, თბილისის ფოლად-თუჯსამსხმელო ქარხნის დირექტორმა დ. გ. მანჯგალაძემ, საინსტრუმენტო ქარხნის დირექტორმა შ. ა. ქოიავამ, ჩარხმშენებლობის სპეციალიზებული საკონსტრუქტორო ბიუროს უფროსმა გ. ა. ბენდუქიძემ, ამიერკავკასიის რკინიგზის უფროსმა ლ. გ. ვარდოსანიძემ, რესპუბლიკის საავტომობილო გზების მინისტრმა გ. ვ. რობიტაშვილმა.

თათბირის მუშაობაში მონაწილეობდნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მრეწველობისა და ტრანსპორტის განყოფილების გამგე ბ. ზ. ბარსუკოვი, საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის მდივანი ბ. დ. მახარაშვილი.

მომხსენებელმა და გამოსულმა ამხანაგებმა აღნიშნეს, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებას ჩარხსაშენებელი და საინსტრუმენტო მრეწველობის განვითარების შესახებ. ეს არის მრავალშლანიანი დოკუმენტი, რომელიც საბჭოთა ჩარხსაშენებელი და საინსტრუმენტო მრეწველობის განვითარების თვისებრივად ახალ ეტაპს სახავს. იგი ითვალისწინებს, რომ მეთერთმეტე ხუთწლედში მკვეთრად ამაღლდეს ქვეყანაში დამზადებული ჩარხების, სამჭედლო-საწნეხი, სამსხმელო მანქანებისა და ინსტრუმენტების ტექნიკური დონე და მწარმოებლობა, მნიშვნელოვნად გაიზარდოს ყველაზე პროგრესული სახეობათა მანქანამოწყობილობის გამოშვება.

დადგენილებით განსაზღვრული ამოცანების განხორციელებაში თავიანთი წვლილი უნდა შეიტანონ აგრეთვე ქართველმა ჩარხმშენებლებმა, მეცნიერებმა, კონსტრუქტორებმა, დამპროექტებლებმა, მშენებლებმა.

თათბირზე აღინიშნა, რომ სსრ კავშირის ჩარხსაშენებელი და საინსტრუმენტო მრეწველობის რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებული საწარმო-ორგანიზაციები გარკვეულ მუშაობას ეწევიან პროდუქციის წარმოების შემდგომი გადიდების, ტექნიკური დონის ამაღლებისა და ხარისხის გაუმჯობესებისათვის. მაგალითად, მეცხრე ხუთწლედში სამრეწველო წარმოების ზრდის ტემპმა შეადგინა 169 პროცენტი, განხორციელდა საწარმოთა ტექნიკური განახლებისა და დამატებითი სიმძლავრეების ამოქმედების ღონისძიებანი.

ურიგოდ როდი დაიწყო დარგმა მეათე ხუთწლედიც. მაგრამ 1978 წლიდან მოყოლებული, მდგომარეობა გაუარესდა, და დღეს არის საშიშროება, რომ მან შეიძლება ვერ გაართვას თავი ხუთწლედის დავალებათა შესრულებას. ჩამორჩენის ძირითადი მიზეზია საკმარისი რაოდენობის პროგრესული ტექნიკის უქონლობა. მაგალითად, სხვადასხვა დროს ჩარხსაშენებელ გაერთიანებაში შენდებოდა და რეკონსტრუირდებოდა ცალკეული საწარმოო ობიექტები, მაგრამ მთლიანი, შეწონასწორებული სიმძლავრეებით აღჭურვილი წარმოება დღემდე არ შექმნილა. ჯერ კიდევ არ შემუშავებულა აგრეთვე რეკონსტრუქციის ერთიანი პროექტი.

უკეთ არც თბილისისა და რუსთავის ფოლად-თუჯსამსხმელო ქარხნებშია საქმე. გასულ წელს დაწყებული თბილისის საწარმოს რეკონსტრუქცია ნელა მიმდინარეობს. გამოვლინდა ხარვეზები რუსთავის ფოლად-თუჯსამსხმელო ქარხნის ძირითადი და დამხმარე ელექტროენერგეტიკის დაპროექტებასა და მშენებლობაში, რის შედეგადაც მისი საწარმოო სიმძლავრეების ამოქმედებას ახასიათებს სერიოზული ნაკლოვანებანი, რაც აბრკოლებს ექსპლოატაციის მუშაკთა ნორმალურ საქმიანობას.

დღემდე არ ეთმობა ჯეროვანი ყურადღება კვალიფიციურ მუშაკთა და სპეციალისტთა შერჩევას, მომზადებას და წარმოებაში დამკვიდრებას, შრომის დისციპლინის განმტკიცებას, სოციალურ-საყოფაცხოვრებო საკითხთა გადაწყვეტას. ამიტომ არის, რომ დარგის საწარმოებში კადრების დენადობა 25-30 პროცენტს აღწევს. სოციალისტური შეჯიბრება და კომუნისტური შრომისათვის მოძრაობა ხშირად ფორმალური ხასიათისაა.

აღინიშნა, რომ შექმნილი მდგომარეობის, მთლიანად დარგისადმი სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიერ წაყენებული მაღალი მოთხოვნების შესაბამისად საჭიროა უმოკავრესი ყურადღება დაეთმოს უპირველესად დარგის შემდგომ განვითარებას, იმ ღონისძიებათა უცილობელ განხორციელებას, რომლებიც განსაზღვრულია ჩარხმშენებლობის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებით. ეს დოკუმენტი, რომელმაც ამოცანად დასახა დიდი კონკურენტუნარიანობისა და მაქსიმალური ეფექტიანობის ახალი ჩარხებისა და მოწყობილობის შექმნა, ამავე დროს გვიჩვენებს მისი გადაწყვეტის გზებსაც. ტექნიკის შექმნისა და სრულყოფის მთავარი მიმართულებაა მისი ავტომატიზაციის მაღალი დონე. ჯერჯერობით კი ავტომატური ჩარხების ხვედრითი წილი მოქმედი ჩარხების პარკში დაბალია. სახალხო მეურნეობაში არსებული ჩარხების საერთო რაოდენობაში, მაგალითად, რიცხვული პროგრამული მართვის ჩარხები სულ 15-და პროცენტს შეადგენს. დასახულია ამოცანა 2,5-ჯერ გადიდდეს მათი გამოშვება.

ჩვენს რესპუბლიკაშიც საკმაოდ ეფექტიანი არ არის არსებული ჩარხების პარკის გამოყენება. მაგალითად, თბილისის საწარმოო გაერთიანება „ჩარხმშენებელში“ 60-ზე მეტ რიცხვული პროგრამული მართვის ჩარხს საერთოდ ურიგოდ როდი იყენებენ. მაგრამ აქაც არის მათი გამოყენების ეფექტიანობის ამაღლების რეზერვები. ეს რეზერვებია მართვის არსებულ სისტემათა სტრუქტურის სრულყოფა, ამ ჩარხებზე დასამზადებელი დეტალების დასახელებათა რაოდენობის გადიდება. თბილისისა და რუსთავის ფოლად-თუჯსამსხმელო ქარხნების ხელმძღვანელებს, პარტიულ ორგანიზაციებს ასევე დიდი მუშაობა აქვთ გასაწევი პროგრამული, უფრო ეფექტიანი ტექნოლოგიური პროცესების დასანერგად.

დიდი ამოცანები დგას აგრეთვე საინსტრუმენტო მრეწველობის მუშაკთა წინაშე. რუსეთიაში ინსტრუმენტის წარმოებას მისტრეფენ თბილისის საინსტრუმენტო ქარხანა და საზეინკლო-სამონტაჟო ინსტრუმენტების საკილი ქარხანა. მაგრამ მათი საქმიანობა არ შეესაბამება ახალ, გადიდებულ მოთხოვნებს. ამ მხრივ დიდი დაბმარება მართებთ მეცნიერებს, კონსტრუქტორებს, ტექნოლოგებს. წარმოებასთან მჭიდრო კავშირი ყოველთვის ნაყოფიერია. მაგალითად, რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში უკვე ექვსი წელია მოქმედებს მილების ბოლოების წასაჭრელი დანადგარი, რომელიც საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის მანქანათმშენებლობის ტექნოლოგიის კათედრამ შეიმუშავა. მან ძირფესვიანად შეცვალა მილსაგლინავი წარმოების ტექნოლოგია და უზრუნველყო წელიწადში 300 ათასი მანეთი ეკონომიკური ეფექტი. გარდა ამისა, კათედრის თანამშრომლებმა თბილისის დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნისათვის შეიმუშავეს, დაამზადეს და დანერგეს საღარავი ჩარხების რიცხვული პროგრამული მართვის ორგანალური სადაპტაციო სისტემა, რომელმაც ბევრად გაზარდა მათი მწარმოებლობა და ხარისხი. ... ეფექტიანობა.

... ინსტიტუტმა ... ინსტრუმენტების ... ინსტიტუტმა ... ინსტიტუტებმა, მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტმა, სამეცნიერო-ტექნიკურმა საზოგადოებებმა.

ჩარხმშენებლობისადმი წაყენებული დღევანდელი გადიდებული მოთხოვნების თვალსაზრისით საჭიროა არსებითად გაუმჯობესდეს დარგის საწარმოთა უზრუნველყოფა მაღალხარისხოვანი ლითონით, რუნინ-ტექნიკური ნაწარმით, ქიმიური მასალებით, თანამედროვე ხელსაწყოებითა და აპარატურით.

გასული წლის ოქტომბერში რესპუბლიკაში სსრ კავშირის ჩარხსაშენებელი და საინსტრუმენტო მრეწველობის მინისტრის ამხ. ა. ი. კოსტოუსოვის უშუალო მონაწილეობით შემუშავდა საქართველოს სს რესპუბლიკაში ჩარხსაშენებელი და საინსტრუმენტო მრეწველობის საწარმოებში პროდუქციის წარმოების შემდგომი განვითარების, ტექნიკური დონის ამაღლებისა და ხარისხის გაუმჯობესების ღონისძიებანი. მაგრამ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილების მიღების შემდეგ ეს ამოცანები კიდევ უფრო მასშტაბური გახდა.

ქვეყნის ჩარხმშენებლობის განვითარების პროგრამაში ჩვენს რესპუბლიკას საპატიო და ამასთანავე ფრიად პასუხსაგები როლი ეკისრება. ჩარხსაშენებელი და საინსტრუმენტო მრეწველობის უმნიშვნელოვანეს საწარმოებს შორის არის მანქანაშენებლობის ქარხანა. თავიდან მოკლულობები და ტექნიკური მაჩვენებლებით ეს იქნება საწარმო-გიგანტი. საჭიროა ამთავითვე უაღრესად გულდასმით მოვეკიდოთ ამ ქარხნის მშენებლობის დაწყებისათვის. პირველი ნაბიჯი უკვე გადაიდგა. ახლახან საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს, სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის, სახმშენისა და სხვა უწყებების წარმომადგენლები, მეცნიერები, წარმოების მუშაკები გაეცნენ დავალებას, შეიტანეს თავიანთი წინადადებანი. მაგრამ ყოველივე ეს ჯერჯერობით წინასწარ ხასიათს ატარებს.

თათბირზე აღინიშნა, რომ ასეთი მასშტაბის ობიექტების მშენებლობის გამოცდილების უქონლობის გამო, უწინარეს ყოვლისა, საჭიროა სპეციალისტთა ჯგუფები გავგზავნოთ ქვეყნის ანალოგიურ ობიექტებზე, რათა შეისწავლონ მუშაობის ორგანიზაციის გამოცდილება. გარდა ამისა, მაქსიმალურად უნდა გამოვიყენოთ მიმდინარე წელი წინასაპროექტო და საპროექტო სამუშაოთა შესასრულებლად, მშენებლობის მონაწილეთა განსასაზღვრავად, მისი რიგითობის დასადგენად, ამასთან უზრუნველყოთ საპროექტო-საძიებო სამუშაოების დავალების დროული მიღება. თავიანთი მოძრავების პროგრამა უნდა განსაზღვრონ საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტისა და საავტომობილო გზათა სამინისტროებმა, ავტომავარეულგომ, ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველომ და რესპუბლიკის სხვა უწყება-სამინისტროებმა.

ჩარხმშენებლობა მოითხოვს საწარმოებში ვეფიციალური სპეციალისტების და მუშების ნაკადის გადიდებას. ამიტომ, როგორც თათბირზე აღინიშნა, საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრომ, რესპუბლიკის პროფტექნიკურ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტმა, სხვა ორგანიზაციებმა უახლოეს ხანს უნდა შეიმუშაონ კომპლექსური ღონისძიებანი შესაბამისი კადრების მოსამზადებლად.

ჩარხმშენებლობის განვითარების პროგრამის რეალიზაციაში განსაკუთრებული ადგილი კუთვნით პარტიულ, საბჭოთა, პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაციებს. სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილების შესრულება უდიდესწილად არის დამოკიდებული მათი ორგანიზატორული მუშაობის დონეზე. საჭიროა აგრეთვე სოციალისტური შეჯიბრება გადავაქციოთ კიდევ უფრო მძლავრ ფაქტორად, რომელიც ხელს შეუწყობს პარტიისა და მთავრობის იმ დავალებათა ვადამდე შესრულებას, რომ საბამდოდ ჩარხმშენებლობა საბჭოთა ინდუსტრიის მოწინავე დარგი გახდეს (საინფორმი).

ჩარხმშენებლობა ინდუსტრიის მოწინავე დარგი უნდა გახდეს

**...ოდ ...ოდ ...ოდ

ვარტიული ცხოვრება:

კომუნისტები და საშემსრულებლო დისციპლინა

რ ე ზ ე რ ვ ე ბ ი ა თ ა ს ე ბ ს გ ვ ა ძ ლ ე ვ ს

ჟუთაისის ტყავ-ფეხსაცმლის კომბინატის წინ მოწყობილ სტენდზე თვალსაჩინოების სხვა მასალებთან ერთად ასეთი მონაცემებია წარმოდგენილი: **ყოველ ერთ წუთში კომბინატში აწარმოებენ 11 წყვილ ფეხსაცმელს; პროდუქციის ხარისხის ერთი პროცენტით გაუმჯობესება წელიწადში 9.805 მანეთ მოგებას იძლევა, ხოლო ძირითადი მასალების მხოლოდ ერთი პროცენტის ეკონომიით დამატებით 26.670 წყვილი ფეხსაცმელი შეიკერება...**

მარტო აქედანაც კარგად ჩანს, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს სამუშაო დროის ყოველი წუთის რაციონალურ გამოყენებას, ნედლეულის ყაირათიან ხარჯვას, პროდუქციის ხარისხისათვის ზრუნვას. ჟუთაისელი მეფეხსაცმელეები მაინცდამაინც არ დაგიდევდნენ ყოველივე ამას, რაც მეათე ხუთწლედის პირველ წლებში კომბინატის ეკონომიკური მაჩვენებლების, პროდუქციის ხარისხის გაუარესების საფუძველი გახდა — მომრავლდა უნაყოფო ხარჯები, რეკლამაციები, წუნდებული პროდუქციის გამოშვების ფაქტები. წარმოებული პროდუქციის 17 პროცენტი სახელმწიფო სტანდარტის მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებდა. მარტო 1978 წელს მიღებული 667 რეკლამაციის გამო ასიათასობით მანეთი გადაიხადეს. მოგების, რენტაბელობის და სხვა ეკონომიკური მაჩვენებლებით გეგმების შეუსრულებლობა ჩვეულებრივ მოვლენად იქცა. მარტო 1977-1978 წლებში კომბინატის გეგმები თერთმეტჯერ იქნა კორექტირებული, რასაკვირველია, შემცირების მიზნით. ერთი სტატიკით, შეიქმნა ყოველად შეუწყნარებელი მდგომარეობა, რომელიც გადამწყვეტ ჩარევას მოითხოვდა. ასეც მოხდა: შარშან წლის დასაწყისში პარტიის საქალაქო კომიტეტმა შეისწავლა და 23 თებერვლის ბიუროს სხდომაზე იმსჯელა ჟუთაისის ტყავ-ფეხსაცმლის კომბინატში შექმნილი მდგომარეობაზე. ბიუროზე საფუძვლიანად გააანალიზეს მუშაობაში არსებული ნაკლოვანებები და დასახეს კონკრეტული ღონისძიებანი მათ გამოსასწორებლად.

საწარმოს დირექციამ და პარტიულმა კომიტეტმა შეიმუშავეს ვრცელი გეგმა, რომელიც პარტიის საქალაქო კომიტეტის მიერ დასახული ამოცანების შესრულებას ითვალისწინებდა. ამრიგად, კომუნისტებმა თავს იდეს მისია— აღმოეფხვრათ საწარმოს მუშაობაში არსებული სერიოზული ნაკლოვანებანი. პარტიულ ორგანიზაციას კი, რომელიც 288 კომუნისტს და 21 სკკპ წევრობის კანდიდატს აერთიანებს, ეს არ უნდა გაუჭირდეს.

უპირველესად ყურადღება მიექცა ხელმძღვანელი მუშაკების პასუხისმგებლობის ამაღლებას. ამ მიზნით პარტიული კომიტეტის სხდომებზე ისმენენ ცალკეული სამსახურებისა და განყოფილებათა უფროსების, საამქროს ხელმძღვანელთა ანგარიშებს. მუშაკები დროის გარკვეულ მონაკვეთში ერთხელ თანამოსამქრეებს, კოლეგებს აწვდიან ინფორმაციას იმის შესახებ, თუ როგორ სრულდება დასახული ღონისძიებები, რა კეთდება, რა არის ხელშემშლელი და ა. შ. ამასთან დიდი ყურადღება მიექცა დასახულ დადგენილებათა შესრულების შემოწმებას. ყოველ მიღებულ დადგენილებას უმკაცრესი კონტროლი აქვს დაწესებული. შარშან იკლისში პარტიულმა კომიტეტმა სპეციალურად იმსჯელა ამ საკითხზე. აქ აღინიშნა, რომ ბევრი მუშაკი მართლაც დიდი პასუხისმგებლობით ეკიდება მიღებულ დადგენილებათა შესრულებას. მაგრამ არიან ისეთებიც, ვისთვისაც დადგენილება მხოლოდ ქაღალდზე არსებობს, საქმე კი ფვითდინებაით მიდის. ამის გამო მკაცრად გააკრიტიკეს შრომის მეცნიერული ორგანიზაციის ინჟინერი მ. იოსიაზრის შეტყობის ფორმები. სწორედ ეს გახდა მამაკაცის დაბალყოფილიანი და მოსწავლეთ საზაფხულო ფეხსაცმლის წარმოების შეწყვეტის საფუძველი. სამაგიეროდ აითვისეს 40 ახალი მოდელი, დანერგეს 5 ახალი სახეობის კალაპოტი.

განხორციელებულმა ღონისძიებებმა ნაყოფიც გამოიღო. ეკონომიკური მაჩვენებლების გაუმჯობესების ტენდენცია შარშანვე გამოიკვეთა — პროდუქციის წარმოებისა და რეალიზაციის საგეგმო დავალებები გადაჭარბებით შესრულდა, გეგმის დადამტკიცებით 377 ათასი მანეთის პროდუქცია გამოუშვეს. განსაკუთრებით სასიხარულოა, რომ წლიანან პროდუქციაში სახელმწიფო ხარისხის ნიშნიანი ნაწარმის ხვედრითმა წილმა 21,2 პროცენტს მიაღწია. რეკლამაციებიც 1978 წელთან შედარებით 238 ერთეულით, ხოლო პროდუქციის უხარისხობით გამოწვეული ჯარიმები 123.903 მანეთით შემცირდა. მკვეთრი გარდატეხა იგრძნობა №№ 2 და 3 საამქროებში...

მომავალში გათვალისწინებულია კომბინატის გაფართოება, მუშათა სამუშაო, საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესება. რესპუბლიკის მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს სპეციალური საპროექტო-საკონსტრუქტორო ბიუროო ამუშავებს კომბინატის ტექნიკური განახლების პროექტს. მოწინავე ტექნიკის ათვისებისა და შრომის მეცნიერული ორგანიზაციის ბაზაზე საწარმოო სიმძლავრეები წელიწადში 300 ათასი წყვილი ფეხსაცმლით გაიზრდება, არსებითად შეიცვლება სავენტილაციო და განათების სისტემები. ასორტიმენტის განახლებას და გაუმჯობესებას ხელს შეუწყობს ახალი ექსპერიმენტული საამქრო, სამოდელო, საასორტიმენტო დარბაზები, ლაბორატორია და სხვ.

ყოველივე ზემოთქმული. იმას არ ნიშნავს, თითქოს დროის ამ არცთუ ისე დიდ მონაკვეთში ყველაფერი გამოსწორებულიყოს და კოლექტივს საბოლოოდ დაეწყოს თვი ნაკლოვანებებისათვის. მუშაობის ეფექტიანობის ასამაღლებლად და ხარისხობრივი მაჩვენებლების გასაუმჯობესებლად კიდევ ბევრი მუშაობაა საჭირო. აქ კი უდიდესი როლი ენიჭება შრომის და საწარმოო, აგრეთვე საშემსრულებლო დისციპლინის განმტკიცებას და სრულყოფას. „სახალხო მეურნეობაში შრომის დისციპლინის შემდგომი განმტკიცებისა და კადრების დინამიკის შემცირების შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საკავშირო პროფსაბჭოს ერთობლივ დადგენილებაში პირდაპირ არის მითითებული, რომ პარტიული ორგანიზაციები ყოველთვის როდი მიმართავენ ეფექტიან ღონისძიებებს, რათა აამაღლონ საშეურნეო ხელმძღვანელთა პირადი პასუხისმგებლობა წარმოებაში დისციპლინის განმტკიცებისა და წესრიგის უზრუნველყოფისათვის. არის გაერთიანებები და საწარმოები, სადაც შეეჩვიენენ შრომითი შინაგანაწესების დარღვევებს, პრინციპულ პარტიულ შეფასებას არ აძლევენ სამუშაოს გაცდენას, სამუშაო დროის დანაკარგების ფაქტებს. შრომისა და სახელმწიფო დისციპლინის დარღვევის გამოა, რომ უარესდება მუშაობის შედეგები, მცირდება შრომის ნაყოფიერება და პროდუქციის ხარისხი.

ყველა, ვინც წარმოებას იცნობს, დაგვეთანხმება, რომ დისციპლინის ამაღლება მეტ-ნაკლებად ყველა საწარმოს უდიდესი რეზერვია. შარშან ტყავ-ფეხსაცმლის კომბინატში სხვადასხვა მიზეზის გამო გაცდა 4.056 კაცდღე. მარტო ამის ხარჯზე 120 ათასი წყვილი ფეხსაცმლის დამზადება შეიძლებოდა.

ხელშემშლელი ფაქტორებია აგრეთვე სამუშაოზე დაგვიანება, რეკლამაციები, „წვრილმანი ქორდობა. ყველაზე სამწუხარი კი ის არის, რომ დისციპლინის დამრღვევთა შორის კომუნისტები და კომკავშირელებიც არიან — რ. აბაშიძე, მ. უშხვანი, ლ. ბასილაია, ც. სულაკაძე, ტ. ხონელიძე და სხვები. სად არის ალმზრდელობით საშუალებათა მთელი სისტემა! ვერ ვიტყვით, რომ პროპაგანდისტები, პოლიტინფორმატორები, აგიტატორები უქმად იყვნენ — ლექციებსაც კითხულობენ, საუბრებსაც, სემინარებსაც აწყობენ, მაგრამ შედეგი? გამოდის, რომ ლექციებსაუბრები ცალკე რჩება, საქმის ნამდვილი ვითარება კი ცალკე.

ახლახან გაიმართა კომბინატის პირველადი პარტიული ორგანიზაციის კრება, რომელმაც განიხილა შრომისა და სახელმწიფო დისციპლინის განმტკიცებისათვის ბრძოლაში კომუნისტთა ამოცანები. კრებაზე პრინციპული სკკ-ბაასი გაიმართა, დაუფარავად ამხილეს ,ნაკლოვანებანი, დასახეს კონკრეტული ღონისძიებანი, რომელთა პრაქტიკულ განხორციელებაზე ახლა ბევრად არის დამოკიდებული საწარმოს მომავალი.

დ. ბ ე დ ე ნ ი ა ძ ე,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

ლ ე ნ ი ნ უ რ ი „ ი ს კ რ ა “ ბ ა თ უ მ შ ი

ბათუმის ხალხთა მეგობრობის ორდენოსანი საზღვაო ნავსადგურის შესასვლელთან მემორიალური დაფის წარწერა გვაუწყებს: „ამ მიდამოებში 1902-1903 წლებში რსდმპ ბათუმის კომიტეტი საზღვარგარეთიდან არალეგალურად ღებულობდა ლენინურ გაზეთ „ისკრას“, რომელიც რუსეთში ვრცელდებოდა“.

ბათუმი პარტიული გაზეთის ტრანსპორტირების სატრანზიტო პუნქტი გახდა მაშინ, როცა სოციალ-დემოკრატიული პარტიის რუსეთის ორგანიზაციებში სულ უფრო გამწვავდა ბრძოლა ბოლშევიკებსა და მენშევიკებს შორის. საჭირო იყო რუსეთში გაეგზავნათ სულ უფრო მეტი „ისკრის“ ნომრები და ლიტერატურა — ლენინის შრომები. ამისათვის გამოიყენეს საფრანგეთის სავაჭრო ხომალდები, რომლებიც ჩამოდიოდნენ შავი ზღვის ნავსადგურებში, კერძოდ ბათუმში.

პოლიციის რეპრესიებმა ვერ შეაჩერა ოპერაციები.

ბათუმის რევოლუციის მუზეუმში ვ. ი. ლენინის დაბადების 110-ე წლისთავისათვის გაკეთდა სპეციალური სტენდები, რომლებიც მოგვითხრობენ ლენინური „ისკრის“ მარშრუტებზე.

სურათებზე: ბათუმის რევოლუციის მუზეუმის ფონდების მთავარი მცველი იზოლდა აბაიშვილი (მარჯვნივ) და მუზეუმის ლაბორანტი თამარ ნიკოლაიშვილი ექსპოზიციისათვის ამზადებენ ლენინური „ისკრის“ ეგზემპლარებს; მემორიალური დაფა ბათუმის ხალხთა მეგობრობის საზღვაო ნავსადგურის შესასვლელთან.

ნ. ანასტასიევის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).



თეორია და პრაქტიკა

ს ტ უ დ ე ნ ტ ებ ი დ ა ჩ ვ ე ნ

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის, ახალგაზრდობის კომუნისტურად აღზრდის მთელ სისტემაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს სტუდენტობაში კერძომესაკუთრული ტენდენციების წინააღმდეგ ბრძოლას. ყოველწლიურად უნივერსიტეტში შემოდის ათასობით ახალგაზრდა. ისინი, ცხადია, ერთმანეთისაგან საკმაოდ განსხვავებულ გარემოში იზრდებოდნენ, არიან საზოგადოების განსხვავებული ფენების წარმომადგენლები, ხშირად არსებითად განირჩევიან ერთმანეთისაგან განათლებისა და კულტურის დონით, თუ გნებავთ, ფსიქოლოგიურადაც. ყველა ამ ფაქტორმა არ შეიძლება თავი არ იჩინოს თითოეული მათგანის დამოკიდებულებაში კერძომესაკუთრული ტენდენციების წინააღმდეგ რესპუბლიკაში გაჩაღებული ბრძოლის მიმართ. მათის შეხედულებებზე, მოქალაქედ მათს ჩამოყალიბებაზე, ცხადია, გავლენა იქონია ოჯახმა, წრემ, ნაცნობ-მეგობრებმა. მათს გარდაქმნას კი ყოველთვის ვერ ახერხებენ ვერც საშუალო სკოლა, ვერც ჩვენი პროპაგანდის საშუალებები. უმაღლესი სკოლის ერთ-ერთი უპირველესი ამოცანაა მიაღწიოს იმას, რომ თითოეული სტუდენტი აღიზარდოს, ჩამოყალიბდეს ჭეშმარიტ საბჭოთა ინტელიგენტად, რომელსაც ექნება მტკიცე, შეგნებული პოზიცია წარსულის ყოველგვარი მავნე გადმონაშთის, ნეგატიური მოვლენის მიმართ.

მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის პირობებში ჭეშმარიტი ინტელიგენტის ფორმირება იოლი არ არის, სწრაფად იზრდება მთელი საზოგადოების განვითარების დონე, კულტურა, მოთხოვნილებები. ამ ვითარებაში საჭირო ხდება აღზრდის ღრმად გაანზრებული და ეფექტიანი სისტემის ჩამოყალიბება უმაღლეს სკოლაში.

ამ თვალსაზრისით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მუშაობა ორი ძირითადი მიმართულებით მიმდინარეობს. ეს გახლავთ კერძომესაკუთრულ ტენდენციათა წინააღმდეგ სტუდენტი ახალგაზრდობის ფსიქოლოგიური მომზადება და თეორიული მომზადება.

ფსიქოლოგიურ მომზადებაში ჩვენ ვგულისხმობთ იმ ღონისძიებებს, რომლებიც ხელს უწყობს ახალგაზრდობის ზოგადკულტურული დონის ამაღლებას, სულიერ და მატერიალურ მოთხოვნილებათა შორის სწორი თანაფარდობის დამყარებას. ამ თვალსაზრისით უფრო ნაკლოვანებად აღინიშნოს ახალგაზრდობის შრომითი, კოლექტივიზმის სულისკვეთებით აღზრდის ისეთი ნაკადი ფორმა, როგორიც არის მესამე. შრომითი სემესტრი. სტუდენტთა სამშენებლო რაზმების სწორი განაწილებისა და ხელმძღვანელობის, რაციონალური დატვირთვის, მნიშვნელოვან უბნებზე გაგზავნის შემთხვევაში ახალგაზრდას შეუძლია მიიღოს საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის, საზოგადოებრივი საკუთრებისადმი პატივისცემის მეტად საჭირო გაკვეთილები. სწორედ ამიტომ საკითხი გასაგებია, თუ რატომ ვანიჭებთ ჩვენ ესოდენ დიდ მნიშვნელობას შრომითს სემესტრს, თუ რატომ ვეახარებს ესოდენ ჩვენი სტუდენტების წარმატება შრომებზე ჩვენს რესპუბლიკაში ეროვნული ეკონომიკური ამოცანების გადაჭრაში. ეს ფაქტორი ავიანებ ერთ-ერთ ფუძეა, ამ ფაქტორზე ეფუძნება ჩვენ ეროვნულ ეკონომიკურ ამოცანებს

გვაძლევენ
საკადესისა და
ახალი ამბების
საკვლევლის
კორესპონდენტები

ი. განდის განცხადება

დელი, 10 აპრილი. ინდოეთში ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობის პრემიერ-მინისტრის ფამ ვან დონგის ვიზიტის დროს გაიმართა აზრთა გაცვლა დიდმნიშვნელოვან საერთაშორისო პრობლემებზე. ვიზიტმა ხელი შეუწყო ინდოეთსა და ვიეტნამს შორის არსებული ახლო და მეგობრული ურთიერთობის განმტკიცებას. მან შემდგომი ფელი შეიტანა საყოველთაო მშვიდობის განმტკიცებაში. ეს გამოიხატა დღის ინდოეთის პრემიერ-მინისტრმა ი. განდიმ ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობის დელეგაციის თავმჯდომარის ფამ ვან დონგის პატივსაცემად გამართულ დარბაზობაზე გამოსვლისას.

ფამ ვან დონგის პრესკონფერენცია

დელი, 10 აპრილი. ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობის დელეგაცია სვლებით ამაყოფილია ინდოეთში ოფიციალური მეგობრული ვიზიტის შედეგებით, გაანცხადა აქ პრესკონფერენციაზე ვიეტნამის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობის პრემიერ-მინისტრმა ფამ ვან დონგმა ინდოეთის პრემიერ-მინისტრ ინდირა განდისთან, საგარეო საქმეთა მინისტრ პ. ვ. ნარასიმჰა რაოსთან შეხვედრებისა და მოლაპარაკების დროს ჩვენ განვიხილეთ მთელი რიგი დიდმნიშვნელოვანი საერთაშორისო პრობლემები, აგრეთვე ორმხრივი ურთიერთობის საკითხები. მე მინდა აღვნიშნო, რომ მოლაპარაკება წარმატებული და შედეგიანი იყო.

მოლაპარაკებაზე მნიშვნელოვანი ყურადღება დაეთმეთ, თქვა მან, ახალი დარგების გამონახვას ორ ქვეყანას შორის ეკონომიკური თანამშრომლობის შემდგომი გაფართოებისათვის.

უპასუხა რა კითხვაზე ვიეტნამ-ჩინეთის ურთიერთობის შესახებ, ფამ ვან დონგმა განაცხადა, რომ ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკა ცდილობს მეგობრული ურთიერთობა დაამყაროს ჩინელ ხალხთან.

ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობის პრემიერ-მინისტრმა განაცხადა, რომ ინდოეთის ხელმძღვანელებთან მოლაპარაკების დროს განიხილეს აგრეთვე ეგრეთ წოდებული „აღიანეთის საკითხი“, რომელსაც დღეს აზიადებს ამერიკის პროპაგანდა. ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობას მიაჩნია, რომ „აღოსავლეთის საკითხი“ მთლიანად მოჩმახულია. იგი წარმოიშვა სუვერენული ქვეყნის შინაურ საქმეებში ამერიკა-პაკისტან-ჩინეთის უშუალო შეიარაღებული ჩარევის შედეგად.

პარტიის ერთიანობის განმტკიცებისათვის

ქაბული, 10 აპრილი. აქ გაიმართა ქალაქ ქაბულის პარტიული აქტივის საერთო კრება მუშათა და გლეხთა კავშირების, ქალთა დემოკრატიული ორგანიზაციებისა და ავღანეთის ახალგაზრდობის მონაწილეობით. კრებამ განიხილა პარტიის შიგნით ფრაქციული საქმიანობის ლიკვიდაციისა და პარტიული ორგანიზაციების ერთიანობის შემდგომი განმტკიცებისათვის მეცადინეობის გაძლიერების შესახებ ავღანეთის სახალხო-დემოკრატიული პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა ს. მ. ზირაიმ. მან აღნიშნა, რომ ფრაქციული საქმიანობა და სხვადასხვა დაჯგუფების შექმნა უარყოფითს გავლენას ახდენს აპრილის რევოლუციისა და ავღანეთის დემოკრატიული პარტიის განვითარებაზე. ჰ. ამინი და მისი დამჭაშები, თქვა მან, ჯერ კიდევ აპრილის რევოლუციამდე ცდილობდნენ შეეიქმნათ ფრაქციები და დაჯგუფებები პარტიის შიგნით.

კრების მონაწილეებმა ერთსულოვნად მიიღეს რეზოლუცია, რომელშიც გადაჭრით უჭერენ მხარს ავღანეთის სახალხო-დემოკრატიული პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს დადგენილებას და აცხადებენ, რომ მზად არიან განამტკიცონ პარტიის ერთიანობა.

ირანის პასუხი

თეირანი. ირანის პრეზიდენტი ა. ბანისადრი და ისლამური რევოლუციური საბჭოს წევრები გუშინ შეხვდნენ აიათოლა ხომეინის. როგორც საბჭოს წარმომადგენელმა ხ. ხაბიბიმ თქვა, ხომეინიმ ქმაყოფილება გამოთქვა საბჭოს მუშაობის გამო და აღნიშნა, რომ ურთიერთობის გაწყვეტის შესახებ ამერიკის შეერთებული შტატების გადაწყვეტილება ირანისათვის ვერავითარ პრობლემას ვერ ქმნის. პირიქით, მისთვის უმჯობესია არ ჰქონდეს ურთიერთობა ტირანთან, განაცხადა ხომეინიმ.

ირანის რადიოთი და ტელევიზიით გამოსვლისას ირანის პრეზიდენტმა ა. ბანისადრმა მოუწოდა ირანელ ხალხს და „ჯგუფებს“, რომელნიც ამწვავებენ შუღლსა და არეულობას“, ითანამშრომლონ მთავრობასთან და ისლამურ რევოლუციურ საბჭოსთან. „მტერს, — თქვა მან, — შეუძლია გამოიყენოს მხოლოდ ერთი ჩვენი სისუსტე, თუ ასეთი წარმოიშვა, — უთანხმოება და მეტოქეობა ხელისუფლებისათვის ბრძოლაში“.

ბანისადრმა განაცხადა, რომ უბრძანა ჩამოაყალიბონ შეიარაღებული ძალების ერთობლივი ოპერატიული შტაბი, რომელმაც მიიღო დავალება მუდმივად გამზადებული ჰყავდეს საბრძოლველად მისდამი დაქვემდებარებული ძალები, შესაძლო აგრესიის მოგერიებისათვის.

შეეხო რა ამერიკის შეერთებული შტატების დამსჯელ ღონისძიებებს, ბანისადრმა განაცხადა, რომ წლის ბოლომდე ქვეყანა უზრუნველყოფილია ბენზინ საჭირო საქონლით — სურსათით, მედიკამენტებით — და შეუძლია გაძლოს, ყოველგვარი ეკონომიკური მოქარის მიუხედავად.

ირანის ეკონომიკისა და ფინანსთა მინისტრის მოვალეობის შემსრულებელმა სალიმმა თეირანის რადიოსათვის მიცემულ ინტერვიუში ირანისათვის ეკონომიკური ბლოკადის გამოცხადების შესახებ ამერიკის შეერთებული შტატების გადაწყვეტილების გამო თქვა: ჩვენ არ გვაქვს სურსათი, და ირანს შეუძლია სასურსათო საქონელზე თავისი მოთხოვნილება დაიკმაყოფილოს საშინაო წარმოების ხარჯზე. რაც შეეხება სხვა საქონელს, რომლის ნაკლებობასაც ირანი განიცდის, მას მარტო ამერიკის შეერთებული შტატები როდი აწარმოებს. არის სხვა ქვეყნებიც, რომლებიც დაკმაყოფილებენ ჩვენს მოთხოვნილებებს. ჩვენ არ გვაქვია ფულადი სახსრები. საზღვაო გზებიც რომ დაგვიხშონ, შეეძლებთ ხმელეთით შემოვიტანოთ საჭირო საქონელი.

ირანის ნავთობის მინისტრმა მოინფარმა პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ ირანი შეუწყვეტს ნავთობის მიწოდებას „ყველა ქვეყანას, რომელიც მონაწილეობას მიიღებს ეკონომიკურ სანქციებში ირანის წინააღმდეგ“.

ვაშინგტონის დასკვნითი აქციები

ვაშინგტონი, 10 აპრილი. კარტერის ადმინისტრაცია სულ უფრო მეტად აძლიერებს შოვინისტურ ფსიქოზს ირანის ისლამური რესპუბლიკის წინააღმდეგ აგრესიულად მოქცევა. ამერიკელ ოფიციალურ პირებს, ალბათ, ეშინიათ, ეს ფსიქოზი ბუმერანგად არ დაბრუნდეს. ამ მიზეზით, ალბათ, ამ ფსიქოზის ხელოვნურ ალაფვა-ალაფვა ხდება. ამ ფსიქოზის ერთ-ერთ ასეთ ალაფვად ითვლება ვაშინგტონის ბრძანება, ირანელ სტუდენტებს, ანუ ირანელ ხალხს, ამერიკა „ტერორისტ ქვეყნად“ ეგონოს. ეს ბრძანება ეხება ამერიკაში ყოფილ

თბილისის ა. ს. პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი



აცხადებს

მიღებას

1980-81 სასწავლო

წლისათვის

დაუსწრებელი

განყოფილების

შემდეგ

სპეციალობებზე:

ქართული ენა და ლიტერატურა, რუსული ენა და ლიტერატურა, ისტორია (რუსული და ქართული სექტორები), სკოლამდელი აღზრდის პედაგოგიკა და ფსიქოლოგია (ქართული და რუსული სექტორები), ბიბლიოთეკათმცოდნეობა და ბიბლიოგრაფია (ქართული სექტორი), დაწყებითი განათლების პედაგოგიკა და მეთოდიკა (ქართული და რუსული სექტორები), ზოგადტექნიკური დისციპლინები და შრომა (ქართული სექტორი), გეოგრაფია (ქართული სექტორი).

შემსვლელნი მისაღებ გამოცდებს აბარებენ შემდეგ საგნებში:

ქართული ენისა და ლიტერატურის სპეციალობაზე — ქართულ ენასა და ლიტერატურაში (წერა*, ზეპირი), სსრ კავშირის ისტორიაში (ზეპირი); უცხო ენაში (ზეპირი);

რუსული ენისა და ლიტერატურის სპეციალობაზე — რუსულ ენასა და ლიტერატურაში (წერა*, ზეპირი), სსრ კავშირის ისტორიაში (ზეპირი), უცხო ენაში (ზეპირი);

ისტორიის სპეციალობაზე — მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში (წერა, ზეპირი), სსრ კავშირის ისტორიაში (ზეპირი), უცხო ენაში (ზეპირი);

სკოლამდელი აღზრდის პედაგოგიკისა და ფსიქოლოგიის სპეციალობაზე — მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში (წერა*, ზეპირი), სსრ კავშირის ისტორიაში (ზეპირი), ბიოლოგიაში (ზეპირი);

ბიბლიოთეკათმცოდნეობისა და ბიბლიოგრაფიის სპეციალობაზე — ქართულ ენასა და ლიტერატურაში (წერა*, ზეპირი), სსრ კავშირის ისტორიაში (ზეპირი), უცხო ენაში (ზეპირი);

დაწყებითი განათლების პედაგოგიკისა და მეთოდიკის სპეციალობაზე — მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში (წერა*, ზეპირი), სსრ კავშირის ისტორიაში (ზეპირი), მათემატიკაში (ზეპირი);

ზოგადტექნიკური დისციპლინებისა და შრომის სპეციალობაზე — მათემატიკაში (წერა*, ზეპირი), ფიზიკაში (ზეპირი), ქართულ ენასა და ლიტერატურაში (წერა);

გეოგრაფიის სპეციალობაზე — გეოგრაფიაში (ზეპირი*), მათემატიკაში (ზეპირი), სსრ კავშირის ისტორიაში (ზეპირი), ქართულ ენასა და ლიტერატურაში (წერა);

ოქროს (ვერცხლის) მედლით საშუალო სკოლის ან წარჩინების დიპლომით საშუალო სპეციალური და საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების კურსდამთავრებულნი მისაღებ გამოცდებს აბარებენ ერთ-ერთ საგანში, რომელიც აღნიშნულია ვარსკვლავით, ამ საგანში შეფასება „ხუთის“ მიღებისას აბიტურიენტები თავისუფლდებიან სხვა საგნებში გამოცდების ჩაბარებისაგან.

მისაღები გამოცდები ეწყობა სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებული პროგრამით.

მისაღებ გამოცდებზე დაშვებული პირები სარგებლობენ სამუშაო ადგილიდან 15 კალენდარული დღის დამატებითი შვებულებით (ხელფასის შეუნარჩუნებლად).

დაუსწრებელ განყოფილებაზე მიიღებიან ის პირები, რომლებიც მუშაობენ უმაღლესში ან არაუმეტეს სპეციალობით ან დამთავრებული აქვთ შესაბამისი საშუალო სპეციალური სასწავლებლები, ან არიან დემობილიზებულნი (ეს უკანასკნელნი ამ უფლებით სარგებლობენ დემობილიზაციიდან სამი წლის განმავლობაში).

უგამოცდოდ ჩაირიცხებიან შტატის შემცირების, ჯანმრთელობის მდგომარეობის და ნამსახურობის შედეგად სსრ კავშირის შეიარაღებული ძალებიდან, უშშორეთისა და შინაგან საქმეთა ორგანოებიდან თადარიგში დათხოვნილი ოფიცრები, პრაპორშჩიკები, მიჩმანები, ზეგადიანი სამხედრო მოსამსახურენი (მიუხედავად თადარიგში დათხოვნის დროისა), რომელთაც აქვთ დამთავრებული უმაღლესი სამხედრო განათლება ან დაუმთავრებელი უმაღლესი სამხედრო, ან სამოქალაქო განათლება (იმის მიუხედავად, თუ რომელ კურსს სწავლობდნენ), ხოლო კონკურსგარეშე ჩაირიცხებიან იმ შემთხვევაში, თუ აქვთ საშუალო განათლება და გამოცდებზე მიიღებენ „დადეთის“ შეფასებას.

პირველ რიგში ჩაირიცხებიან ის პირები, რომელთა სამუშაო შეესაბამება უმაღლესში არჩეულ სპეციალობას და აქვთ ამ ხაზით არანაკლებ 6 თვის მუშაობის სტაჟი; საშუალო სპეციალურ და საშუალო პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებელდამთავრებულნი (თუ ისინი შედიან მონათესავე სპეციალობაზე), აგრეთვე თადარიგში დათხოვნილი სამხედრო მოსამსახურენი.

ამასთან, ჩაირიცხვის უპირატესი უფლება აქვთ იმ პირებს, რომლებსაც სათანადო ორგანიზაციები გზავნიან მუშაობის შესაბამის სპეციალობაზე და წარადგენენ დადგენილი ნიმუშის მიმართვას (იხ. მიღების წესები, დანართი № 8). დარჩენილ ადგილებზე ჩაირიცხებიან შემსვლელნი, რომელთაც ექნებათ არჩეული სპეციალობით სულ ცოტა 6 თვის მუშაობის სტაჟი.

მსურველებმა განცხადება უნდა შემოიტანონ რექტორის სახელზე. განცხადების უნდა დაერთოს შემდეგი საბუთები: დოკუმენტი საშუალო განათლების შესახებ (დედანი); სამედიცინო ცნობა (ფორმა № 286); 5 ფოტოსურათი (უქუდოდ 3X4 სმ.); დახასიათება უკანასკნელი სამუშაო ადგილიდან უმაღლესი სასწავლებლის ადმინისტრაციის, პარტიული, კომკავშირული, პროფკავშირული ორგანიზაციების ხელმძღვანელთა ხელმოწერით. ვისაც არა აქვს 2 წლის სამუშაო სტაჟი, შეუძლია წარმოადგინოს დახასიათება, რომელიც გაკეთებულია საშუალო სკოლის ან სხვა სასწავლებლის მიერ, ამონაწერი შრომის წიგნაკიდან, დამოწმებული საწარმო-დაწესებულების ადმინისტრაციის მიერ, პასპორტი და სამხედრო ბილეთი (ან მიწერის მოწმობა) უნდა წარმოადგინონ პირადად.

შენიშვნა: ა) შრომის წიგნაკის ამონაწერს უნდა ჰქონდეს საწარმოს, დაწესებულების ან კოლმეურნეობის კუთხური შტამპი, რომელზეც ნაჩვენები უნდა იყოს გაკეთების თარიღი და სარეგისტრაციო ნომერი.

ბ) იმ პირებისაგან, რომლებიც მუშაობენ დროებით (4 თვემდე) ან ცვლილ ხანგრძლივ უხელფასო შვებულებაში თუ მივლინებაში მყოფთ, საბუთები არ მიიღება.

გ) დაუსწრებელ განყოფილებაზე შემსვლელებს განცხადება შეაქვთ მათ საცხოვრებელ ადგილთან უახლოეს უმაღლეს სასწავლებლებში, სადაც არის მათთვის საინტერესო სპეციალობა.

სსრ კავშირის შეიარაღებული ძალებიდან დემობილიზებულთათვის აუცილებელი არ არის სამხედრო ნაწილის ხელმძღვანელობის მიერ გაკეთებული დახასიათების წარმოდგენა.

განცხადებები მიიღება 20 აპრილიდან 31 მაისამდე (ჩათვლით) ყოველდღე, გარდა კვირისა, 10 საათიდან 15 საათამდე.

მისაღები გამოცდები გაიმართება 1-დან 20 ივნისამდე.

დაწერილობითი ცნობების მიღება შეიძლება მიმღები კომისიის ცნობათა ბიუროში (თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. № 32, ა. ს. პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი. ტელ: 22-28-75).

მიმღები კომისია.

თბილისის მოსახლეობის შრომითი მოწყობისა და ინფორმაციის ბიურო

იწვევს 18-45 წლის ქალებს ამერიკავკასიის რკინიგზის თბილისის № 2 სავაგონო უბანში სამგზავრო ვაგონების გამცილებლად ადგილობრივი და შორეული მიმოსვლის მატარებლებზე. მიიღებიან თბილისში, გორში, რუსთავსა და გარდაბნის, მცხეთის, მარნეულის, ბოლნისის, დუშეთის, საგარეჯოს, თეთრი წყაროს, კასპის რაიონებში მცხოვრენი.

გამცილებლებს მოამზადებენ სავაგონო უბანში ინდივიდუალური მოკლევადიანი პროგრამით. ზელფასის ანაზღაურება მოხდება სამუშაოზე მიღების დღიდანვე.

სწავლის დამთავრებისას აბარებენ გამოცდებს და გაამწესებენ ადგილობრივ მატარებლებზე გამცილებლად — თბილისი-მოსკოვი, თბილისი-სოჭი, თბილისი-ფოთი, თბილისი-მახარაძე და სხვა.

გამცილებლები სარგებლობენ რკინიგზის ტრანსპორტის მუშაკებისათვის დაწესებული შეღავათებით. ყოველწლიურად მიეცემათ დამატებითი ანაზღაურება „მეცამეტე ხელფასის სახით“, უფასო სპეცტანსაცმელი, რკინიგზის ტრანსპორტზე სამგზავრო ორი ბილეთი.

შექმნილია პირობები მომუშავეების მიერ სპეციალური განათლების მისაღებად. ყველა მომუშავეს შეუძლია ისწავლოს თბილისის შ. ელიავის სახელობის რკინიგზის ტექნიკუმის დაუსწრებელ განყოფილებაზე. წარმოების მოწინავეებს, რომლებსაც ექნებათ სავაგონო უბანში მუშაობის ორი წლის სტაჟი, ლიმიტით და სტიპენდიის დაწესებით გაგზავნიან სასწავლებლად როსტოვის რკინიგზის ტრანსპორტის ინსტიტუტში.

სამუშაოზე საგზურების მისაღებად მიმართეთ ბიუროსა და მის ფილიალებს:

პლეხანოვის გამზირი, 67, ოქტომბრის ქუჩა, მე-2 მიკრორაიონი, მე-2 კორპუსი, ნავთლუღის ქუჩა, 17.

საქართველოს შრომის ფითელი დროების ორდენოსანი სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი

27 აპრილს, 11 საათზე საშუალო სკოლის მეათე კლასის მოსწავლეებისა და სოფლის მეურნეობაში დასაქმებული მოწინავე ახალგაზრდობისათვის, რომელთაც სურთ 1980 წლის აგვისტოში მონაწილეობა მიიღონ მისაღებ გამოცდებში, აწყობს

ღია კარის დღეს

გაიმართება რექტორატის, პარტიული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების, აგრეთვე მაპროფილებელ კათედრათა წარმომადგენლების შეხვედრა ახალგაზრდობასთან პროფორიენტაციის მიზნით. **შეხვედრის დროს მოეწყობა კონკურსი დევიზით: „ვინ უკეთ იცნობს არჩეულ პროფესიას“, რომელიც გამოავლენს გამარჯვებულებს სპეციალობათა მიხედვით.** კონკურსში გამარჯვებულს მიეცემათ ჩარიცხვის დროს დებულებით გათვალისწინებული შეღავათები.

ოფიციალური ცხრილი

მომგებიანი ანაბრის მოგებათა 75-ე ტირაჟისა, რომელიც გაიმართა 1980 წლის 3 აპრილს ქ. ბათუმში.

მოგება ხვდა საქართველოს სსრ შემნახველ სალაროებში მოთავსებული მომგებიანი ანაბრების შემდეგ ნომრებს:

ანგარიშების №№	მოგებათა ოდენობა პროცენტობით ანაბრის საშუალო თანხასთან	ანგარიშების №№	მოგებათა ოდენობა პროცენტობით ანაბრის საშუალო თანხასთან
ა — 4	25%	ა — 523	100%
ა — 62	25%	ა — 599	25%
ა — 91	25%	ა — 610	25%
ა — 122	25%	ა — 677	25%
ა — 184	25%	ა — 707	25%
ა — 221	50%	ა — 722	25%
ა — 259	50%	ა — 778	25%
ა — 315	100%	ა — 813	25%
ა — 356	25%	ა — 848	25%
ა — 393	25%	ა — 881	25%
ა — 409	200%	ა — 943	25%
ა — 451	25%	ა — 985	25%
ა — 499	25%		

შემნახველ სალაროებში, სადაც ანგარიშების რიცხვი 1000 მეტია, მოგება ყველა მომდევნო ათასეულში ხვდა იმავე ანგარიშებს, რომლებიც არის პირველ ათასეულში ა 1004, ა 2004, ა 1062, ა 2062 და ასე შემდეგ.

ტირაჟის მომწყობი კომისიის თავმჯდომარე — ბათუმის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე — ბ. ს. ეფორიძე.

კომისიის თავმჯდომარის მოადგილე — სახშრომშემსალაროების საქართველოს მთავარი რესპუბლიკური სამმართველოს უფროსის მოადგილე ა. ბ. შეთარდენიძე.

პასუხისმგებელი მდივანი — სახშრომშემსალაროების საქართველოს მთავარი რესპუბლიკური სამმართველოს უფროსი ინსპექტორი ბ. ბ. კურტანიძე.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია

აცხადებს კონკურსს

გ. ნიკოლაძის სახელობის პრემიის მოსაპოვებლად

გიორგი ნიკოლაძის სახელობის პრემია — 2500 მანეთი მიენიჭება 2 წელიწადში ერთხელ მორიგეობით ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის და გამოყენებითი მექანიკისა და ავტომატური მართვის დარგებში. მიმდინარე 1980 წელს პრემია მიენიჭება ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის დარგში.

პრემიის მოსაპოვებლად შეიძლება წარმოდგენილ იქნეს კოლექტიური ან ცალკეულ ავტორთა ნაშრომები. კოლექტიურ ნაშრომებში პრემია მიეცემათ ხელმძღვანელებს და ძირითად ავტორებს.

სხვადასხვა ნაშრომისათვის ორ ან მეტ მაძიებელს შორის პრემიის გაყოფა არ შეიძლება.

პრემიის მოსაპოვებლად წარმოდგენილი ნაშრომი შესრულებული უნდა იყოს საქართველოს სსრ სამეცნიერო-კვლევითის ინსტიტუტში, უმაღლეს სასწავლებელსა ან სხვა დაწესებულებაში, ან ცალკეულ პირთა მიერ. პრემიის მოსაპოვებლად გამონაკლისის სახით შეიძლება საქართველოს სსრ სამეცნიერო დაწესებულებებმა წარმოდგენონ რესპუბლიკის გარეთ შესრულებული ნაშრომი.

პრემიის მოსაპოვებლად შეიძლება წარმოდგენონ წინა ოთხი წლის განმავლობაში გამოქვეყნებული შრომები, მაგრამ ისინი გამოცემული უნდა იყოს არა უგვიანეს იქისი თვისა ამ განცხადების გამოქვეყნებამდე.

ნაშრომები, რომელთაც მიენიჭათ ლენინური ან სახელმწიფო პრემია, აგრეთვე სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის, მოკავშირე რესპუბლიკების მეცნიერებათა აკადემიებისა და დარგობრივი აკადემიების სახელობითი პრემიები, გ. ნიკოლაძის სახელობის პრემიის მოსაპოვებლად არ მიიღება.

ერთსა და იმავე პირს გ. ნიკოლაძის სახელობის პრემია განმეორებით არ მიენიჭება.

პრემიაზე ნაშრომი შეიძლება წარმოდგენონ სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების, უმაღლესი სასწავლებლების, სამეცნიერო საზოგადოებრივი ორგანიზაციის ან სათანადო დარგის წამყვანმა მეცნიერებმა ან სპეციალისტებმა.

პრემიის მოსაპოვებლად საკონკურსოდ წარმოდგენილ უნდა იქნეს:

1. საკონკურსოდ გათვალისწინებული გამოქვეყნებული მეცნიერული ნაშრომი სამ ცალად;

2. დასაბუთებული წარმოდგენება, რომელიც ასახავს ნაშრომის მეცნიერულ ღირებულებას და მის მნიშვნელობას სახალხო მეურნეობის განვითარებისათვის.

3. მონაცემები ავტორის შესახებ (ძირითად სამეცნიერო ნაშრომთა, აღმოჩენათა, გამოგონებათა სია, მუშაობის ადგილი და თანამდებობა, ბინის მისამართი).

4. ცნობა იმის შესახებ, რომ კონკურსზე წარმოდგენილ ნაშრომს წინათ არ ჰქონია მინიჭებული სხვა სახელობითი პრემიები.

პრემიის მოსაპოვებლად მასალები, განცხადების გამოქვეყნების დღიდან ერთი თვის განმავლობაში უნდა გამოიგზავნოს მისამართით: თბილისი — 4, ძერჟინსკის ქ. № 8, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, წარწერით: „გ. ნიკოლაძის სახელობის პრემიის მოსაპოვებლად“.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია.

მსუბუქი ავტომანქანების მფლობელთა საყურადღებოდ!

„ტრანსსააგენტო“ ღებულობს მსუბუქი ავტომანქანების გაცვითილ საბურავებს საგარეჯოს და გუდაუთის საბურავების შემკეთებელ ქარხნებში აღსადგენად, აგრეთვე ცვლის გაცვითილ ავტოსაბურავებს ფულკანიზირებულზე.

თითოეული საბურავის შესაკეთებლად მიღების ან გაცვლის ღირებულებაა 1 მანეთი და 70 კაპიკი.

საბურავების შეკეთების ფასი ზომების მიხედვით — 8 მანეთიდან 15 მანეთამდე.

საბურავების შეკეთება ხდება ახალ, თანამედროვე მოწყობილობაზე. შეკეთებული საბურავების საგარანტიო გარბენია 9-12 ათასი კილომეტრი.

„ტრანსსააგენტოს“ საბურავების მიმღები პუნქტები გალოკავებულია თბილისში, გორში, თელავში, რუსთავში, ბათუმში, ქობულეთში, სოხუმში, ქუთაისში, ზუგდიდში, სამტრედიაში, წყალტუბოში, ტყიბულში, თერჯოლაში, ლაგოდეხის რაიონის სოფელ აფენში, კახპის რაიონის დს. იგოეთში.

ცნობებისათვის დარეკეთ:

თბილისი — 34-01-00
ბათუმი — 3-64-90
ქუთაისი — 6-59-35
სოხუმი — 2-40-33.

„ტრანსსააგენტო“
საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტრო

ცისფერ ეკრანზე

საქართველოს ტელევიზიის ერთი კვირის პროგრამა

□ 14 აპრილი

პირველი პროგრამით: 09.00 — „ვრემია“ (მ.), 17.30 — აბიტურიენტთათვის — ბიოლოგია (ფ.), 18.00 — განცხადებები (ფ.), 18.05 — მულტიპლიკაციური ფილმი, 18.15 — მოსწავლეთათვის — კონცერტი (ფ.), 18.45 — „კინოს სამყაროში“ (ფ.), 19.45 — „ფიფქია მოფფერი“ (მ.), 20.00 — „მოაბმე“ (ფ.). 20.30 — ქართული საგალვეგიზიო ფილმი-კონცერტი „ლაკრიკატები“. პრემიერა (ფ.), 21.10 — „ეროზია“ — ანა კალანდაძე (ფ.), 21.30 — ხელოვნური სსრ კავშირის პირველობაზე. თბილისის „ბურევესტნიკი“ — მინსკის ასკ 13 აპრილის მაგრის მეორე ტაიმის ვიდეოჩანაწერი, 22.00 — „ვრემია“ (მ.), 22.35 — საგელევიზიო სპექტაკლი „ისინი თამაშობდნენ ფეხბურთს“. პრემიერა. საქართველოს ტელევიზიის დადგმა (ფ.), დასასრული ახალი ამბები (ფ.).

მეორე პროგრამით: 15.50 — მულტიპლიკაციური ფილმი, 16.00 — მოსწავლეთათვის — საქართველოს ისტორია (ფ.), 16.45 — განცხადებები (ფ.), 16.50 — ქართული საგელევიზიო დოკუმენტური ფილმების პროგრამა: „საუკუნეთა ძახილი“ (ფ.), „ვარაზი“, 17.50 — კონცერტი, 18.25 — ქართული მხატვრული ფილმი „ბივსურული ბალადა“.

□ 15 აპრილი

პირველი პროგრამით: 09.00 — „ვრემია“ (მ.), 17.30 — აბიტურიენტთათვის — ქართული ენა (ფ.), 18.00 — განცხადებები (ფ.). 18.05 — „შევისწავლოთ ინგლისური ენა (ფ.), 18.35 — „ხალხური ხელოვნების უკვდავება“, 19.45 — „დღეს მსოფლიოში“ (მ.), 20.00 — „მოაბმე“ (ფ.), 20.30 — ქართული დოკუმენტური ფილმი „ალპური ვარსკვლავი“ პრემიერა (ფ.), 21.30—„თეატრალური პანორამა“ (ფ.). 22.00—„ვრემია“ (მ.), 22.35 — საქართველოს ტელევიზიისა და რადიოს ხალხურ საკრავთა ორკესტრის კონცერტი (ფ.), 23.05 — ახალი ამბები (ფ.).

მეორე პროგრამით: 16.20 — რუსული სკოლების მოსწავლეთათვის — ფიზიკა (ფ.), 16.50 — განცხადებები (ფ.), 16.55 — ქართული დოკუმენტური ფილმები: „სულხან ცინცაძე“, „ნიკო კვიზოვილი“ (ფ.), 17.40 — „საუბრები ლიტერატურაზე“. სტუდიაში — ფანტასტიკურ და ტექნიკურ ლიტერატურაში მომუშავე მწერალთა საკავშირო თათბირის მონაწილენი (ფ.). 18.20 — ქართული მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ლაბტი“, 18.40 — მასწავლებლის საათი — ალგებრა (ფ.), 19.25 — კინონარკვევი.

□ 16 აპრილი

პირველი პროგრამით: 09.00 — „ვრემია“ (მ.), 17.15 — აბიტურიენტთათვის — მათემატიკა (ფ.), 17.45 — დოკუმენტური ფილმი, 18.00 — შევისწავლოთ გერმანული ენა, 18.30 — ვ. ი. ლენინის დაბადების 110-ე წლისთავისადმი — „ჩინარა და რედალეური“ (მ.), 19.30 — „კინონარკვევი, 19.45 — „დღეს მსოფლიოში“ (მ.), 20.00 — „მოაბმე“ (ფ.), 20.30 — „ინოფერნალი, 20.40 —ქართული საგალვეგიზიო დოკუმენტური ფილმი „ფესტივალი კინოფოლანგში“. პრემიერა (ფ.), 21.10 — „ინოეპოპეა „დიდი სამამულო“. ფილმი მეოთხე „პარტიზანები. ომი მგრის ზურგში“ (ფ.), 22.00 — „ვრემია“ (მ.), 22.35 — „სპორტული მიმოხილვა“ (ფ.), 23.05 — ახალი ამბები (ფ.).

მეორე პროგრამით: 16.20 — მასწავლებლის საათი — რუსული ენა (ფ.), 17.05 — განცხადებები (ფ.), 17.10 — საესტრადო კონცერტი (ფ.), 17.45 — მხატვრული ფილმი „მამაკაცი და ქალიშვილი“, 19.05 — სტუდენტებისათვის — მასალათა გამძლეობა (ფ.),

□ 17 აპრილი

პირველი პროგრამით: 09.00 — „ვრემია“ (მ.), 17.20 — აბიტურიენტთათვის — ფიზიკა (ფ.), 17.50 — განცხადებები (ფ.), 17.55 — უმცროსკლასელთათვის — ჩვენ ვსაუბლობთ რუსულ ენას (ფ.), 18.25 — მოსწავლეთა 35-ე სასწავლო შემოქმედებითი კონფერენცია, 19.00 — ფეხბურთი სსრ კავშირის პირველობაზე: ერევნის „არარატი“ — თბილისის „დინამო“. გადმოცემა ერევნიდან. შესვენების დროს — კინონარკვევი, 20.45 — „მოამბე“ (ფ.), 21.10 — კინოეპოპეა „დიდი სამამულო“. ფილმი მეხუთე „ალმოსავლეთის საკენ“ (ფ.), 22.00 — „ვრემია“ (მ.), 22.35 — „გადაცემა ახალგაზრდობისთვის“.

მეორე პროგრამით: 16.20 — მოსწავლეთათვის — ქართული ენა (ფ.), 16.50 — განცხადებები (ფ.), 16.55 — დოკუმენტური ფილმი — „ყველაზე გრძელი გამოცდა“, 17.50 — „თეატრი და ცხოვრება“ (ფ.), 18.55 — მასწავლებლის საათი — ფიზიკა (ფ.), 19.40 — მულტიპლიკაციური ფილმი.

□ 18 აპრილი

პირველი პროგრამით: 09.00 — „ვრემია“ (მ.), 17.30 — აბიტურიენტთათვის — ქიმია (ფ.), 18.00 — განცხადებები (ფ.), 18.05 — შევისწავლოთ ფრანგული ენა (ფ.), 18.35 — მულტიპლიკაციური ფილმები, 19.00—„აკადემიკოსი გიორგი ძოწენიძე“ (ფ.), 19.45 — „დღეს მსოფლიოში“ (მ.), 20.00 — „ამერიკული ხაფანგი“. სტუდიაში — პოლიგიკური მიმოხილველი ა. პოგოპოვი (მ.), 20.45 — „მოამბე“ (ფ.). 21.15 — ვ. ი. ლენინის დაბადების 110-ე წლისთავისადმი — „მეძველიერნენი“, 21.40 — ქართული საგალვეგიზიო დოკუმენტური ფილმი „საწნახელი“ (ფ.), 22.00 — „ვრემია“ (მ.), 22.35 — „სცენები მუსიკალური სპექტაკლებიდან“, 23.15— ახალი ამბები (ფ.).

მეორე პროგრამით: 15.50 — მულტიპლიკაციური ფილმი, 16.00 — მე-9-მე-10 კლასის მოსწავლეთათვის — ფიზიკა (ფ.), 16.30 — განცხადებები (ფ.), 16.35 — დოკუმენტური ფილმი „ქალი, რომელსაც ელიან“, 17.25 — მხატვრული ფილმი „არარავეულებრივი შემთხვევა“ (ფ.), 18.45 — მასწავლებლის საათი — ქიმია (ფ.), 19.30 — „ჩვენს დიად საშობლოში“. საგალვეგიზიო დოკუმენტური ფილმი „ოთხი დღე ხალილაში“, 13.10 — „ხუთშაბათი — წელი დამამთავრებელი“ — საგალვეგიზიო პროგრამა, 13.45 — „შაბათობის დღიური“ (მ.), 13.55 — კინოეპოპეა „დიდი სამამულო“. ფილმი მეექვსე: „ომი არქტიკაში“ (ფ.), 14.45 — „ბუსაგა ლენინის ცხოვრებაში“, 15.29 — „ეროოდენას ეარგნი“, 15.45 — „ადადგეთ საჭმოთა არმიის მეომრებისათვის, 16.35 — „შაბათობის დღიური“ (მ.), 16.45 — „ცხოველთა სამყაროში“ (მ.), 17.45 — „ვაშა ამ ახალ საქართველოს, ვაშა ეროვნულ ... (ფ.), 19.25 — „საქართველო — მეგნიერების ... (ფ.), 19.40 — „ბეთრი სტუდია“ (მ.), 20.10 — „ლიტერატურული ... (ფ.), 20.20 — „ბელეტი ... (ფ.), 21.00 — „ბალეტ ... (ფ.), 21.30 — „ქართული საგალვეგიზიო დოკუმენტური ფილმი „ჩვენი უბანი“. პრემიერა (ფ.), 22.00 — „ვრემია“ (მ.), 22.35 — „ჩვენ ლენინური საუკუნის ადამიანები ვართ“ — ბელოგენების ოსტატთა კონცერტი, მიძღვნილი საკავშირო კომუნისტური შაბათობისადმი (მ.),

მეორე პროგრამით: 16.15 — გასართობი კინოპროგრამა ბავშვებისათვის, 17.15 — დოკუმენტური ფილმი, 18.15 — კონცერტი, 19.00 — მულტიპლიკაციური ფილმი, 19.20 — მხატვრული ფილმი — „პირველი ხელმოწერის უფლება“... (ფ.).

□ 20 აპრილი

პირველი პროგრამით: 09.00 — „ვრემია“ (მ.), 09.40 — ქართული საგალვეგიზიო დოკუმენტური ფილმი „სამშრეთ ოსეთი“ (ფ.). 10.00 — შევისწავლოთ რუსული ენა (ფ.), 10.30 — „მაღვიძარა“ (მ.), 11.00 — „სამეურნეო მექანიზმი — სიახლეები, პრობლემები“ (გამმეორებით. ფ.), 11.45 — ქართული საგალვეგიზიო დოკუმენტური ფილმი — „აკადემიკოსი მუსხელიშვილი“, 12.00 — „ჯაბნრთულობა“ — საგალვეგიზიო პროგრამა (მ.), 12.45 — „ციხოაფეზა“ (ფ.). 13.15 — ტელეკურსელთათვის — ქართული ენა და ლიტერატურა. სტუდიაში — დოცენტი თ. ჯავშანგირაძე (ფ.), 13.45 — „კინოს მოყვარულთათვის“, 15.35 — „ვესტნიკი“ (ფ.). 16.05 — „დღეს საბჭოური მეგნიერების დღეა“ (მ.), 17.00 — „კინომოგზაურობის კლუბი“ (მ.), 18.00 — ვ. ი. ლენინის დაბადების 110-ე წლისთავისათვის — საგალვეგიზიო მხატვარულ-ლიტერატურული ფილმი „ლენინთან ერემლში“, შეხვედრა მეამბე. „უნდა ვიოცნებოთ“ (მ.), 19.00 — „საერთაშორისო პანორამა“ (მ.), 19.45 — „ზ. ხაბალოვი. „საგუნდო პოემა“ (ფ.). 19.55 — „გადაცემა „დიადი სიკეთე“ (სამშრეთ ოსეთი), 20.25 — სამხრეთ ოსეთის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი „სიმღერა“ კონცერტი, 21.00 — „მოამბე“ (ფ.), 21.30 — „ვერნისაჟი“, 22.00 — „ვრემია“ (მ.), 22.35 — „ვ. ი. ლენინის სახე ქართულ სცენაზე“ (ფ.).

მეორე პროგრამით: 14.45 — ბავშვებისათვის — მხატვრული ფილმი — „ფუნთუშა“ (ფ.), 16.05 — მუსიკალური ფილმი, 17.00 — დოკუმენტური ფილმი — „მობრძანდით ამ ბაღჩაში“ (ფ.), 18.00 — მულტიპლიკაციური ფილმი, 18.15 — მხატვრული ფილმი „ადამიანი .სამოქალაქო განსაცმელში“ (ფ.).

რა მოვისმინოთ

საქართველოს რადიოს ერთი კვირის პროგრამა

□ 14 აპრილი

პირველი პროგრამით: 06.08 — „უკანასკნელი ცნობები, 06.38 — „ჩვენი მთა-ბარის ჰანგები“, 06.50 — „სოფლის დილა“, 07.31 — „დილის კონცერტი“, 08.00 — „ბაზეთ „პრავდის“ მიმოხილვა (მ.), 08.37 — „ბელოდიიდან მელოდიამდე“, 09.45 — „ქართული ოპერების არიები ბ. ამირანაშვილის შესრულებით, 10.00 — ცენტრალური გაზეთების ფურცლებზე (მ.), 11.10 — მოსწავლეთათვის. „ვიწყებთ ვარჯიშს!“, 11.20 — „ბაზეთ „პრავდის“ მიმოხილვა, 11.45 — „ჩემი მეგობარი მერი“. რუსთაველ ქიმიური ბოჭკოს ქარხნის მუშის ც. მოძღვრიშვილის პუბლიცისტური საუბარი, 12.15 — „მხიარული რიგმები“, 12.25 — „პოეზია უპირველეს ყოვლისა“ — ვ. მაიაკოვსკი. „ლაადაკვაკაზი-თბილისი“, 12.30 — მუსიკა ქართული კინოფილმებიდან, 12.40 — კომეტნარი საერთაშორისო თემაზე, 12.45 — აფხაზეთის კომპოზიტორთა საორკესტრო პიესები, 13.30 — „ბაზეთ „პრავდის“ მიმოხილვა სტატია, 13.40 — ო. ბობოხიძის სიმღერები, 14.00 — „ლიტერატურული კითხვა“. ლ. ავალიანი. „ახალი ჰორიზონტი“. რომანი (გაგრძელება), 14.20 — დ. შოსკაკოვიჩი. სიმფონია „ლენინის ხსოვნას“, 16.40 — „დიადი ცხოვრების წლები“. ვ. ი. ლენინის ბიოგრაფიის დოკუმენტები. 1923 წელი. გადაცემა მეორე (მ.), 17.00 — უკანასკნელი ცნობები, 17.15 — მეერის ლ. ზიკინა, 17.35 — მოსწავლეთათვის, კონცერტი „თქვენი თხოვნით, მეგობრებო!“, 18.10 — „მელოდია, რიგმი, გაზწყობილება“. ჟონცერტი, 19.00 — „ასკ 26-ე ყრილობის შესახვედრად“. საუბარი „კომუნისტები ეძებენ რეზერვებს“, 19.15 — ქართული ხალხური სიმღერები, 19.40 — „საერთაშორისო ცხოვრების ინსტიტუტის აქტუალური პრობლემები“ (მ.), 20.30 — „ბაზეთ „პრავდის“ მიმოხილვა, 21.45 — „ბელოდიიდან მელოდიამდე“, 23.55 — „ბაზეთ „ეროვნული ოსტატთა კონცერტი, 23.55 — უკანასკნელი ცნობები.

□ 15 აპრილი

პირველი პროგრამით: 06.08 — „უკანასკნელი ცნობები, 06.38 — „ჩვენი მთა-ბარის ჰანგები“, 06.50 — „სოფლის დილა“, 07.31 — „დილის კონცერტი“, 08.00 — „ბაზეთ „პრავდის“ მიმოხილვა (მ.), 08.37 — „ბელოდიიდან მელოდიამდე“, 09.45 — „ქართული ოპერების არიები ბ. ამირანაშვილის შესრულებით, 10.00 — ცენტრალური გაზეთების ფურცლებზე (მ.), 11.10 — მოსწავლეთათვის „ვიწყებთ ვარჯიშს!“, 11.20 — „ბაზეთ „პრავდის“ მიმოხილვა (მ.), 11.45 — „ჩემი მეგობარი მერი“. რუსთაველ ქიმიური ბოჭკოს ქარხნის მუშის ც. მოძღვრიშვილის პუბლიცისტური საუბარი, 12.15 — „მხიარული რიგმები“, 12.25 — „პოეზია უპირველეს ყოველისა“ — ვ. მაიაკოვსკი. „ლაადაკვაკაზი-თბილისი“, 12.30 — მუსიკა ქართული კინოფილმებიდან, 12.40 — კომეტნარი საერთაშორისო თემაზე, 12.45 — აფხაზეთის კომპოზიტორთა საორკესტრო პიესები, 13.30 — „ბაზეთ „პრავდის“ მიმოხილვა, 13.40 — ი. ბობოხიძის სიმღერები,